



საქართველოს აგროარული უნივერსიტეტი

გამოცდების ჩატარების წესი

თბილისი,

2020 წელი

## მუხლი 1. რეგულირების სფერო და მიზანი

1.1. ეს წესი მოქმედებს როგორც უმაღლეს ასევე პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტებზე.

1.2. ეს წესი არეგულირებს ა(ა)იპ საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) გამოცდების ჩატარების წესს და მისი მიზანია საგამოცდო პროცესის ობიექტურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

1.3. გამოცდის მიზანია სტუდენტის არა მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის შემოწმება, არამედ სტუდენტის მიერ ამ ცოდნის გამოყენების უნარების, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების, აღწერისა და შეფასების უნარების შემოწმება, რაც ერთი მხრივ, ემსახურება სწავლის შედეგებისა და მიღწევების გაზრდას, ხოლო მეორე მხრივ, ემსახურება საგამოცდო პროცესის ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის ამაღლებას.

1.4. უნივერსიტეტის მიზანია, თითოეული სტუდენტი მთელი სემესტრის მანძილზე აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში და სტუდენტის ცოდნის დონე განიცდიდეს პროგრესს თითოეული კვირის განმავლობაში. მიღწეული პროგრესის გაზომვის ფორმებს წარმოადგენს ქვიზი, ტესტირება, ინდივიდუალური და ჯგუფური პრეზენტაცია, ესე, ინდივიდუალური და ჯგუფური პროექტი და შესაბამისი საგნის სილაბუსით გათვალისწინებული სხვა შუალედური შეფასების ფორმები.

1.5. უნივერსიტეტი გამოცდებს ატარებს ამ წესის დებულებათა შესაბამისად და მისი თითოეული თანამშრომელი და სტუდენტი ვალდებულია განუხრელად დაიცვას ამ წესის მოთხოვნები.

1.6. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უფლებამოსილია სტუდენტის მიერ ამ წესით დადგენილი მოთხოვნების დარღვევისას გამოიყენოს რეაგირების შესაბამისი ზომები.

## მუხლი 2. გამოცდების სახეები და მათი ჩატარების ფორმა

2.1. უნივერსიტეტის სტუდენტის ცოდნა სემესტრის განმავლობაში ფასდება შუალედური და დასკვნითი გამოცდების სახით. შეფასების ფორმებია: ტესტი; ინდივიდუალური ან ჯგუფური პრეზენტაცია; ესე; ინდივიდუალური ან ჯგუფური



პროექტი და სხვა. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, შესაძლოა დაინიშნოს დამატებითი გამოცდა. უნივერსიტეტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, ნებისმიერ სასწავლო კურსში/საგანში ჩაატაროს ნებისმიერი ფორმის შუალედური შეფასების ფორმა. ფინალური გამოცდის შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება გადაბარების ვადაში. გამოცდის თარიღი დგინდება საგამოცდო ცენტრის მიერ.

2.2. სტუდენტი ფასდება წერიითი ან/და ზეპირი ფორმით.

2.3. წერიითი შეფასება ტარდება ელექტრონული ფორმით, უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში - თითოეული სტუდენტისათვის პერსონალურად გამოყოფილ კომპიუტერთან მუშაობის გზით ან წერით ფურცელზე. გამოცდების მსვლელობის ჩაწერა ხორციელდება კამერის მეშვეობით.

2.4. წერიითი შეფასება ტარდება:

2.4.1. „დახურული წიგნის მეთოდით“ - რომლის დროსაც სტუდენტს ეკრძალება რაიმე სახის დამხმარე მასალის ან ლიტერატურის გამოყენება;

2.4.2. „ღია წიგნის მეთოდით“ - რომლის დროსაც სტუდენტს კონკრეტულად მიეთითება შესაბამისი საგნის ლექტორის მიერ, თუ რა სახის დამხმარე მასალის ან ლიტერატურის გამოყენების უფლება აქვს.

### **მუხლი 3. საგამოცდო განრიგის შედგენა და გამოცდების დაგეგმვა**

3.1. საგამოცდო განრიგი

3.1.1. საგამოცდო ცენტრი ადგენს სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შუალედური, ფინალური და გადაბარებების გამოცდების განრიგს. ცხრილები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ. გვერდზე ([www.agruni.edu.ge](http://www.agruni.edu.ge)).

3.1.2. შუალედურ შეფასებებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, საგამოცდო ცენტრს აწვდის სკოლის დეკანი/ადმინისტრაცია, სემესტრის დაწყებიდან 1 კვირის ვადაში.

3.1.3. ფინალური გამოცდების დაწყებამდე 5 კვირით ადრე საგამოცდო ცენტრი ადგენს ფინალური გამოცდების ნუსხას და აცნობს სკოლის დეკანებს და კოორდინატორებს.

3.1.4. ახალი კორონა ვირუსის (covid 19) ეპიდემიასთან დაკავშირებით საგამოცდო ცენტრის მიერ დასკვნითი და გადაბარების გამოცდის დაწყებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე გამოცდების განრიგი ეგზავნება სკოლის დეკანებს, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებს, სარეგისტრაციო ოფისს, აგრეთვე, უნივერსიტეტის სასწავლო სამსახურს - ზემოაღნიშნული ინფორმაციის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსების მიზნით.

3.1.5. გამოცდა ტარდება საგამოცდო ცხრილით დანიშნულ დროს. გამოცდის განმეორებით დანიშვნა/ჩაბარება არ ხდება, გარდა გამონაკლისი შემთხვევისა, რომელსაც ადგენს სკოლის დეკანი განმეორებითი გამოცდის თარიღის საგამოცდო ცენტრთან შეთანხმებით.

3.1.6. სტუდენტის გამოუცხადებლობის საპატიოდ მიჩნევის მიზნით სტუდენტი ვალდებულია დეკანს წარუდგინოს შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მიერ გაცემული ცნობა. ცნობაში მითითებული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და ფაქტობრივი მისამართი, წინააღმდეგ შემთხვევაში, დეკანი ცნობას არ მიიჩნევს გამოუცხადებლობის საპატიოდ შეფასების საფუძვლად. სტუდენტის მიერ წარდგენილი ცნობის ნამდვილობა ექვემდებარება დეკანის მიერ გადამოწმებას.

3.1.7. გამოცდის გადატანა ტექნიკური ან სხვა რაიმე მიზეზის გამო, შესაძლოა მოხდეს გამოცდის ჩატარებამდე არანაკლებ ორი სამუშაო დღის ვადაში.

3.1.8. როგორც წესი, შუალედური შეფასება ტარდება შესაბამისი ლექციისათვის განკუთვნილ დროს. თუქვიზიინიშნება არასალექციო/არასასემინაროპერიოდში, საგამოცდოდროსადგენს შესაბამისი სკოლის კოორდინატორი, საგამოცდო ცენტრთან შეთანხმებით.

3.1.9. როგორც წესი, შუალედური შეფასება არ უნდა აღემატებოდეს 30-50 წუთს. ხოლო დასკვნითი გამოცდა არ უნდა აღემატებოდეს 1.5 საათს (90 წუთი). გამონაკლისი შემთხვევები დგინდება სკოლის დეკანის/ადმინისტრაციის და საგამოცდო ცენტრის შეთანხმების საფუძველზე.

3.1.10. ახალი კორონა ვირუსის (covid 19) ეპიდემიასთან დაკავშირებით შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით და ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის

ბაკალავრიატის და ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დებულების 6.8 პუნქტის შესაბამისად, შუალედურ და/ან ფინალურ გამოცდაზე, საპატიო მიზეზით და წინასწარი შეტყობინების პირობებში, გასვლის შეუძლებლობისა და სკოლის/ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის გადაწყვეტილებით გამოცდების აღდგენის ფორმად შესაძლებელია განისაზღვროს ინდივიდუალური ზეპირი ან წერიტი გამოკითხვა.

3.2. საგამოცდო საკითხები 3.2.1 საგნის ლექტორი, საგამოცდო საკითხებს და ღია წიგნის შემთხვევაში გამოსაყენებელ ლიტერატურას, საგამოცდო ცენტრს აწვდის შუალედური და გადაბარებების გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ 2 სამუშაო დღით ადრე, ხოლო ფინალური გამოცდის შემთხვევაში 1 კვირით ადრე, ამ წესის #1 დანართით დადგენილი ფორმის შესაბამისად.

3.2.2. ლექტორი ვალდებულია თითოეული ჯგუფისათვის შეადგინოს საგამოცდო საკითხების რამდენიმე განსხვავებული ვერსია, რათა საგამოცდო ცენტრის მიერ უზრუნველყოფილ იქნეს შეფასების პროცესის ობიექტურად და გამჭვირვალედ ჩატარება. დამატებითი გამოცდის დანიშვნის შემთხვევაში, ლექტორი ვალდებულია საგამოცდო ცენტრს წარუდგინოს საკითხების განსხვავებული ვერსია.

3.2.3. საგნის ლექტორი საგამოცდო ფაილის დასახელებას იწყებს ლათინური A-ით (საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აღსანიშნავად), შემდეგ აწერს საგნის დასახელებას, საკითხის ვარიანტს, ლექტორის სახელსა და გვარს.

### 3.3. სტუდენტთა სიები:

3.3.1. უნივერსიტეტის სარეგისტრაციო ოფისი ვალდებული ასაგამოცდო ცენტრს, სემესტრის დასაწყისში, მიაწოდოს სტუდენტთა ზუსტი ელექტრონული სიები მითითებული მეილებით. სიის ცვლილების შემთხვევაში, განახლებული სია დაუყოვლებლივ უნდა მიეწოდოს საგამოცდო ცენტრს.

3.3.2. უნივერსიტეტის სარეგისტრაციო ოფისი ვალდებულია, დასკვნით გამოცდამდე ერთი კვირით ადრე, ხოლო გადაბარებების გამოცდების შემთხვევაში დანიშნულ გამოცდამდე 2 სამუშაო დღით ადრე საგამოცდო ცენტრს მიაწოდოს გამოცდაზე გამომსვლელ სტუდენტთა ზუსტი სიები.

#### მუხლი 4. რეგისტრაცია

4.1. საგამოცდო რეგისტრაცია სტუდენტებს ეგზავნებათ ელექტრონული სახით გამოცდამდე არაუგვიანეს 3 საათით ადრე, ასევე ინფორმაცია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრთან განთავსებულ მონიტორზე.

4.2. სტუდენტი ვალდებულია: გაეცნოს უნივერსიტეტის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე საგამოცდო რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციას (საგამოცდო ადგილი და ვარიანტი).

4.3. სტუდენტი ასევე ვალდებულია გაითვალისწინოს, რომ შესაძლოა ტექნიკური თუ სხვა მიზეზით რეგისტრაციის ინფორმაცია არ გაეგზავნოს მეილზე, რაც არ ნიშნავს, რომ გამოცდა არ ტარდება.

4.4. ახალი კორონავირუსის (covid 19) ეპიდემიასთან დაკავშირებით, რეკომენდებულია სტუდენტი გამოცხადდეს საგამოცდო ცენტრის შესასვლელთან გამოცდის დაწყებამდე 20 წუთით ადრე.

4.5. სტუდენტი ვალდებულია საგამოცდო ცენტრის წარმომადგენელს წარუდგინოს პირადობის დამადასტურებელი ფოტოსურათი ან დოკუმენტი (პირადობის მოწმობა, მართვის მოწმობა, პასპორტი), რომელიც იძლევა სტუდენტის იდენტიფიცირების საშუალებას.

4.6. სტუდენტი ვალდებულია გამოცდაზე გამოცხადდეს დროულად. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი გამოცდაზე მისთვის განკუთვნილ სამუშაო მაგიდასთან გამოცხადდება მაქსიმუმ 10 წუთის დაგვიანებით იგი შესაძლოა, გამოცდის სპეციფიკის გათვალისწინებით, დაშვებულ იქნეს გამოცდაზე, თუმცა მას არ მიეცემა დამატებითი საგამოცდო დრო.

4.7. თუ ბაკალავრიატის სტუდენტი გამოცდაზე მისთვის განკუთვნილ სამუშაო მაგიდასთან გამოცხადდება 10 წუთზე მეტი დროით იგი გამოცდაზე არ დაიშვება და სტუდენტი შეფასდება 0 ქულით. ეს საკითხი მაგისტრატურის პროგრამების შემთხვევაში განისაზღვრება მაგისტრატურის დებულებით.

## მუხლი 5. საგამოცდო ცენტრში სტუდენტის ქცევის წესი

### 5.1. სტუდენტი ვალდებულია:

- 5.1.1. გაეცნოს უნივერსიტეტის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე საგამოცდო რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციას (გამოცდის საგანი, დრო, ადგილი და ვარიანტი);
- 5.1.2. მობილური ტელეფონი ან/და სხვა ელ.მოწყობილობა შეინახოს საგამოცდო ცენტრში ამ მოწყობილობისთვის განკუთვნილ ადგილას;
- 5.1.3. მთელი გამოცდის განმავლობაში, სტუდენტისათვის განკუთვნილ სამუშაო მაგიდაზე, გამოსაჩენ ადგილას განათავსოს პირადობის საიდენტიფიკაციო დოკუმენტი;
- 5.1.4. სტუდენტი ვალდებულია იმუშავოს რეგისტრაციით მინიჭებულ ვარიანტზე;
- 5.1.5. გამოცდის სახის გათვალისწინებით, თან იქონიოს ლექტორის მიერ დაშვებული/ მითითებული ყველა საჭირო ინვენტარი და მასალა (მაგალითად: ლიტერატურა; დამხმარე მასალები; კალამი; კალკულატორი; ლექსიკონი და ა.შ.);
- 5.1.6. გამოცდის დასრულების შემდეგ მხოლოდ კომპიუტერის დესკტოპზე შეინახოს საგამოცდო ნამუშევარი, ხოლო ფაილს სახელწოდებად მინიჭდის საკუთარი სახელი და გვარი;
- 5.1.7. საგამოცდო ცენტრი არ დატოვოს გამოცდის დაწყებიდან 10 წუთის განმავლობაში;
- 5.1.8. 5.1 მუხლის პუნქტების დარღვევის შემთხვევაში სტუდენტი ფასდება 0-ით.

### 5.2 გამოცდაზე აკრძალულია:

- 5.2.1. არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადება;
- 5.2.2. ქუდით/თავსაბურთით, ყურსასმენებით, ქურთუკით და ნოუთბუკით გამოცხადება, წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტს ჩამოერთმევა ზემოაღნიშნული ნივთები;
- 5.2.3. სტუდენტმა საგამოცდო ცენტრში მისთვის განკუთვნილ სამუშაო მაგიდასთან არ უნდა იქონიოს მობილური ტელეფონი ან/და სხვა ელ.მოწყობილობა, წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტს ერთმევა გამოცდის გაგრძელების ან/და დასრულების უფლება და იგი ფასდება 0 ქულით;



5.2.4. გამოცდაზე სხვისი ნაშრომის ან დაუშვებელი დამხმარე ჩანაწერების გამოყენება; ასევე, სტუდენტის ეთიკის კოდექსით დადგენილი წესების დარღვევა; წინააღმდეგ შემთხვევაში, სტუდენტი კარგავს გამოცდის დასრულების უფლებას და იგი შეფასდება 0 ქულით;

5.2.5. სხვასტუდენტთან გადალაპარაკება, მისთვის კარნახი, გადაწერის ან რაიმე დაუშვებელი დამხმარე მცდელობა. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტი კარგავს გამოცდის დასრულების უფლებას და იგი შეფასდება 0 ქულით;

5.2.6. დახურული წიგნის მეთოდით შეფასების ჩატარებისას, სტუდენტმა არ იქონიოს სამუშაო მაგიდასთან წიგნი, კონსპექტი, ტექსტი, ჩანაწერი, ჩანახატი, ელექტრონული და სხვა სახის ჩანაწერები. წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტი კარგავს გამოცდის დასრულების უფლებას და იგი შეფასდება 0 ქულით;

5.2.7. თუკი გამოსაცდელი დატოვებს საგამოცდო სივრცეს გამოცდის მიმდინარეობის დროს, ის კარგავს უფლებას დაბრუნდეს იმავე გამოცდის მიმდინარეობის დროს საგამოცდო სივრცეში;

5.2.8. დაუშვებელია სამუშაო მაგიდის მიტოვება საგამოცდო ცენტრის თანამშრომელთან შეთანხმების გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტი კარგავს გამოცდის დასრულების უფლებას და იგი შეფასდება 0 ქულით;

5.2.9. დამკვირვებლისათვის შეურაცხყოფის მიყენება, დამკვირვებლის მითითებისადმი დაუმორჩილებლობა, ხმაური და გამოცდის მსვლელობის სხვაგვარი შეფერხება. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტი კარგავს გამოცდის დასრულების უფლებას და იგი შეფასდება 0 ქულით;

5.2.10. გამოცდის მსვლელობის დროს დოკუმენტის შრიფტის ზომის ან მასშტაბის გაზრდა 100%-ზე მეტი ზომით, ასეთ შემთხვევაში, სტუდენტი კარგავს გამოცდის დასრულების უფლებას და იგი შეფასდება 0 ქულით; შრიფტის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. თუ სტუდენტს აქვს მხედველობის პრობლემა უნდა აცნობოს საგამოცდო ცენტრს წინასწარ, რისთვისაც მას გამოეყოფა სპეციალური ადგილი;



5.2.11. ნებისმიერი სხვა ქმედება, რაც შეიძლება ჩაითვალოს დაუმსახურებელი და არაობიექტური შეფასების მიღების საფუძვლად, სხვისთვის ხელის შეშლად, შეცდომაში შეყვანად. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტი კარგავს გამოცდის დასრულების უფლებას და იგიშეფასდება 0 ქულით;

5.2.12. ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელიც იკრძალება სტუდენტის ეთიკის კოდექსით და რომლის დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტი კარგავს გამოცდის დასრულების უფლებას, მისი ნამუშევარი ფასდება 0 ქულით, ან/და სტუდენტის მიმართ გამოიყენება სტუდენტის ეთიკის კოდექსით დადგენილი სანქცია;

5.2.13. დაუშვებელია სათადარიგო ფურცლის გატანა საგამოცდო ცენტრიდან;

5.2.14. ახალი კორონა ვირუსის (Covid 19) ეპიდემისათან დაკავშირებული საგანგებო წესების მოქმედების პერიოდში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის #01-227/ო ბრძანების შესაბამისად, სტუდენტი თერმოსკრინინგის პოზიტიური შედეგის და სახეზე სათანადოდ განთავსებული პირბადის გარეშე არ დაიშვება საგამოცდო სივრცეში. გამოცდის მთელი მიმდინარეობისას პირბადის სახეზე სათანადოდ განთავსების გარეშე სტუდენტი დაკარგავს გამოცდის დასრულების უფლებას. საგამოცდო ცენტრის თანამშრომელს აქვს უფლება გამოსაცდელს მოსთხოვოს, იდენტიფიცირების მიზნით პირბადის ჩამოშვება, იდენტიფიცირებისათვის აუცილებელი მცირე დროის განმავლობაში.

## **მუხლი 6. საგამოცდო ცენტრის დამკვირვებლის უფლება-მოვალეობანი**

### **6.1. დამკვირვებელი ვალდებულია:**

6.1.1. შეადგინოს საგამოცდო ცხრილი;

6.1.2. მოამზადოს სტუდენტთა სიები რეგისტრაციისთვის;

6.1.3. უზრუნველყოს საგამოცდო საკითხების შეგროვება ამ წესით დადგენილ ვადებში;

6.1.4. გამოცდის დაწყებამდე გააასუფთავოს ყველა კომპიუტერი ზედმეტი ფაილებისგან;

6.1.5. აუცილებლობის შემთხვევაში და გამოცდის სპეციფიკიდან გამომდინარე, სტუდენტებს დაურიგოს სათადარიგო ფურცლები, დააწეროს მაგიდის ნომერი და ხელი მოაწეროს მათ;

6.1.6. უზრუნველყოს სტუდენტთა დისციპლინა ამწესის მე-5 მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო დარღვევის შემთხვევაში, შეადგინოს ოქმი ამწესის #2 დანართით დადგენილი ფორმის შესაბამისად და მიაწოდოს ლექტორს, სკოლის დეკანს და კოორდინატორს;

6.1.7. გამოცდის დასრულებამდე არ დატოვოს საგამოცდო ცენტრი უფროს დამკვირვებელთან/საგამოცდოცენტრის ხელმძღვანელთან შეთანხმების გარეშე;

6.1.8. ამ წესის რომელიმე დებულების ან სტუდენტის ეთიკის კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს უფროს დამკვირვებელს/საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელს და მიიღოს ამ წესით დადგენილი რეაგირების ზომები;

6.1.9. გამოცდის დასრულებისთანავე საგნის ლექტორს მიაწოდოს სტუდენტთა ნაშრომები;

6.1.10. გამოცდის დასრულებისთანავე საგნის ლექტორს გადაუგზავნოს სტუდენტთა დასწრების ელექტრონული სია;

6.1.11. აწარმოოს ჩატარებული გამოცდების სტატისტიკა.

## **მუხლი 7. გამოცდების შედეგები**

7.1. გამოცდის შედეგებს სტუდენტი ეცნობა შეფასების ელექტრონულ სისტემაში (EMIS).

7.2. სტუდენტი უფლებამოსილია საგამოცდო ნაშრომის გადამოწმება მოითხოვოს საგნის ლექტორთან.

7.3. სტუდენტი უფლებამოსილია გააპროტესტოს შეფასება.

## მუხლი 8. დასკვნითი დებულებანი

8.1. გამოცდების პროცესის დახვეწისა და უკეთ ორგანიზების მიზნით უნივერსიტეტი ახორციელებს გამოცდების ჩატარების წესის ცვლილებებს. წესში შეტანილი ცვლილებები ექვემდებარება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე დაუყოვნებლივ გამოქვეყნებას.

8.2. გამოცდების ჩატარების წესის რომელიმე ნორმის ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობა გავლენას არ ახდენს დანარჩენი ნორმების იურიდიულ ძალაზე.

ვარიანტი #

\*მონიშნეთ გამოცდის ფორმატი (მიუთითეთ ✓)

დახურული წიგნი	
ღიაწიგნი	
<b>*ღია წიგნის შემთხვევაში მონიშნეთ გამოცდაზე ნებადართული ელემენტები (მიუთითეთ ✓)</b>	
ელექტრონული წიგნები	
წიგნები	
კონსპექტები	
ლექსიკონი	
კალკულატორი	
სკოლა/საგანმანათლებლო პროგრამა	
საგანი	
ლექტორი	
კურსი	
ჯგუფი	
გამოცდის ფორმა(ქვიზი, შუალედური, ფინალური)	
გამოცდის ხანგრძლივობა	
მაქსიმალური ქულა	
<b>* გამოცდის ჩატარების წესი იხილეთ „დესკტოპზე“ საქაღალდეში Exam materials</b>	
სტუდენტის სახელი და გვარი:	

საგამოცდო საკითხები:



საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ გამოცდების ჩატარების წესის დარღვევის ოქმი

ეს ოქმი ადასტურებს, რომ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_ სკოლის/საგანმანათლებლო პროგრამის \_\_\_\_\_ კურსის სტუდენტმა \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_ დაარღვია საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის გამოცდების ჩატარების წესის მე-5 მუხლის მოთხოვნები, კერძოდ, მან: \_\_\_\_\_

-----  
-----  
-----  
-----  
-----  
-----  
-----  
-----  
-----  
-----

დარღვევის დრო: \_\_\_\_\_ საათი და \_\_\_\_\_ წუთი

გამოცდის თარიღი: \_\_\_\_\_

გამოცდის საგანი: \_\_\_\_\_

საგნის ლექტორი \_\_\_\_\_

დამკვირვებელი: \_\_\_\_\_



წერიტი ნაშრომების მიღება-ჩაბარების აქტი

ერთი მხრივ, საგამოცდო ცენტრის წარმომადგენელი (შემდგომში - „გადამცემი“) \_\_\_\_\_ ვადასტურებ, რომ გადავეცი, ხოლო მეორემ ხრივ \_\_\_\_\_ საგნის ლექტორი \_\_\_\_\_ (შემდგომში მიმღები“) ვადასტურებ, რომ მივიღე რეგისტრირებული \_\_\_\_\_ ნაშრომიდან \_\_\_\_\_ ცალი.

გადამცემი

მიმღები

თარიღი